ა) სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: სოციალური მუშაობა
Social Work

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მუშაობის მაგისტრი
Master of Social Work

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

დ) სწავლების ენა: ქართული

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე: სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის მიზანი შესაძლებელია განისაზღვროს 3 დონეზე:

- აკადემიურ დონეზე პროგრამის მიზანია სტუდენტები უზრუნველყოს სოციალური მუშაობის პრაქტიკისთვის ფუნდამენტური დისციპლინების კრიტიკული ცოდნით და სოციალური მუშაობის პრაქტიკის თეორიული საფუძვლებით.
- პროფესიულ დონეზე პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სტუდენტები იმ პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც მოეთხოვება სოციალური მუშაობის პრაქტიკას და რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ვალიდური ინსტიტუციების მიერ.
- პროგრამის საბოლოო მიზანია, მიაღწიოს პროფესიული და აკადემიური სტანდარტების ინტეგრაციას და მოამზადოს კრიტიკული რეფლექსიის მქონე პრაქტიკოსი, რომელიც დაინტერესებულია განავითაროს თავისი პროფესიული უნარ-ჩვევები.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა სოციალურ მუშაობაში;
- გასაუბრება სპეციალობასა და უცხო ენაში (ინგლისური B1).

ზ) სწავლის შედეგი: ცოდნა და გაცნობიერება - სოციალური მუშაობის მაგისტრებს აქვთ ღრმა ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა შეფასდეს ის, რაც აკონსტრუირებს სოციალური მუშაობის პრაქტიკას; აცნობიერებენ პიროვნულ და პროფესიულ ღირებულებებს და მათ გავლენას იმ სამუშაოზე, რასაც სოციალური მუშაკი ასრულებს. მათ იციან, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს სქესს, ასაკს, კლასობრივ კუთვნილებას, სექსუალობას, უნარშეზღუდულობას და სოციალურად სტრუქტურირებული განსხვავებების სხვა ფორმებს მათ

პროფესიულ პრაქტიკაზე; იციან, თუ როგორ იმუშაონ ისე, რომ ხელი შეუწყონ სხვადასხვა სერვისის მომხმარებლის გაძლიერებას, რათა არ მოხდეს მათზე ზეწოლა და დისკრიმინაცია.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სოციალური მუშაობის მაგისტრებს აქვთ სოციალური მუშაობის პრაქტიკის სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის კრიტიკული გაგება, ასევე, აქვთ ჰოლისტური პრაქტიკის უნარ-ჩვევები, რომელიც ინდივიდებს განიხილავს პლურალისტური საზოგადოების ფართო კონტექსტში; ფლობენ იმის უნარს, თუ როგორ მოახდინონ თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრირება სოციალურ მუშაობაში; ღრმად შეისწავლეს სოციალური მუშაობის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ჯგუფური მუშაობა, ოჯახებთან მუშაობა, ამოცანაზე ორიენტირებული სოციალური მუშაობა, კოგნიტური ბიჰევიორული მუშაობა და ა.შ. მათ ექნებათ შესაძლებლობა, რომ მოახდინონ ამ მეთოდების გამოყენება პრაქტიკის ორგანიზაციებში.

დასკვნის უნარი - მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეუძლია, რომ, სოციოლოგიური მონაცემების დამოუკიდებლად დამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე, გააკეთოს დასკვნები შესასწავლი პრობლემის არსის, მისი გადაჭრის გზების შესახებ.

კომუნიკაციის უნარი - მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეუძლია კომუნიკაცია დაამყაროს როგორც ქართულ, ისევე უცხო ენაზე ყველა იმ ადამიანთან თუ ჯგუფთან, რომლებიც მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენენ (რესპონდენტები, ექსპერტები, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები და სხვ.). მას განვითარებული აქვს სოციალური უნარები, კერძოდ, შეუძლია ჯგუფური მუშაობა, მათ შორის, ინტერდისციპლინულ ჯგუფში მუშაობა.

სწავლის უნარი – მაგისტრს შეუძლიას სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება. სოციოლოგიის მაგისტრს ხელეწიფება, რომ მის მიერ ათვისებული ცოდნა და გამოცდილება გადასცეს სხვებს.

ღირებულებები, რომლებიც შეიძინეს პროგრამის დასრულების შემდეგ:
სოციალური მუშაობის მაგისტრები აცნობიერებენ იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ განვითარდეს კლიენტზე ორიენტირებული პოლიტიკის გამომუშავება. მათ განუვითარდათ უნარ-ჩვევები იმისა, თუ თავად როგორ განახორციელონ ღირსეული და ღირებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა. ასეთ ღირებულებებს მიეკუთვნება:

- ✓ პროფესიული ეთიკის პრინციპების პატივისცემა;
- ✓ კვლევის ობიექტის (ადამიანები, ჯგუფები) უფლებების, პირველ რიგში, მათი ანონიმურობის დაცვა;
- ✓ პლაგიატის უარყოფა;
- ✓ ქსენოფობიური და ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებების უარყოფა; განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;

მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს, აგრეთვე, გამომუშავებული აქვთ ზოგადი (ტრანსფერული) უნარები: აბსტრაქტული

აზროვნება, მოვლენათა კრიტიკული ანალიზი და სინთეზი, ახალი იდეების გენერირება, ცოდნის მუდმივი განახლება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, დისკუსიის წარმართვა, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების საჯარო წარდგენა და ა.შ.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი;
3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის
   დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.;
4. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა,
   საველე მუშაობა და სხვ.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

1. დისკუსია, დებატები;
2. ჯგუფური მუშაობა (cooperative/ collaborative);
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL);
4. შემთხვევის ანალიზი;
5. გონებრივი იერიში (Brain storming);
6. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს გარკვეულ თანაფარდობას შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას შორის. თითოეული სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება ხორციელდება 100–ქულიანი სისტემით.

შუალედური შეფასებები შეიძლება დაეყრდნოს შემდეგ აქტივობებს:

- აქტიურობა სასემინარო, ან პრაქტიკულ მეცადინეობაზე;
- საკონტროლო სამუშაო;
- საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება;
- წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები;
- შუალედური გამოცდა;
- საბოლოო გამოცდა და სხვა.

დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.

კ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით**:** იხ. დანართი: სასწავლო გეგმა

ლ) პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო შატბერაშვილი, ასოცირებული პროფესორი

მ) დასაქმების სფეროები: სოციალური მუშაობის მაგისტრატურის კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანია როგორც აკადემიურ/სამეცნიერო სფეროში საქმიანობის, ისე პრაქტიკის კეთების თვალსაზრისით. მას შეუძლია სწავლის გაგრძელება დოქტურანტურაში. რაც შეეხება პრაქტიკას, სოციალური მუშაობის მაგისტრს შეუძლია დაიკავოს მენეჯერული პოზიციები ყველა იმ სახელმწიფო თუ კერძო სააგანტოში, რომლებიც სოციალურ სერვისს ახორციელებს სხვადასხვა სფეროში (ბავშვთა კეთილდღეობა, პენიტენციალური სისტემა, უნარშეზღუდულთა რეაბილიტაცია, მოხუცებზე ზრუნვა, ნარკომანთა და აივ/შიდსით ინფიცირებულთა ადაპტაცია და სხვ.).

იმ პირობებში, როდესაც სოციალური სამუშაო ხდება რეგულირებადი პროფესია, ე.ი. ექცევა სახლმწიფოს პატრონაჟის ქვეშ, მოთხოვნა სოციალური მუშაკებზე სულ უფრო გაიზრდება, რაც, ცხადია, დასაქმების გაცილებით უკეთეს გარემოს შექმნის.

ნ) დამატებითი ინფორმაცია: პროგრამას შეუძლია მოემსახუროს საშუალოდ 30–მდე სტუდენტს ყოველწლიურად.

სწავლის გაგრძელების საშუალება: სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულებას ემსახურება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

უნივერსიტეტის რესურს ცენტრები;

თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი;

ელექტრონული ჟურნალები და ბაზები;

უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა;

სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი;

გარდა ამისა,სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების რესურს ცენტრი, რომელიც მოიცავს: ექვს გარემონტებულ ოთახს (ფართი დაახლოებით 140 კვ.მ.); ბიბლიოთეკას, დაახლოებით 1400 წიგნით სოციალური მეცნიერებების სფეროში; 22 უახლესი მოდელის კომპიუტერს; 24 საათიან ინტერნეტ მომსახურებას (უკაბელო ინტერნეტი), 5 პრინტერს; ქსეროკოპირების მანქანას; პროექტორს; ფაქსს, სკანერს და ა .შ.

რესურს ცენტრი ღიაა 9-დან 18 საათამდე სამუშაო დღეებში. რესურს ცენტრის მომსახურებით ყოველდღიურად სარგებლობს 50–ზე მეტი სტუდენტი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

სასწავლო გეგმა

უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: სოციალური მუშაობა

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ნინო შატბერაშვილი, ასოცირებული პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №57/2011, დანართი 59

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №113/2013-4 ოქტომბერი, 2013; დადგენილება №22/2015 - 9 თებერვალი, 2015; დადგენილება № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; დადგენილება № 9/2017 - 23 იანვარი, 2017; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება № 90/2017 - 25 ივლისი, 2017

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012-2013

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები/მოდულები										
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები/მოდულები - 85 კრედიტი (ECTS)*										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი გამოცდები			შემოდგომა	გაზაფხული	
1	სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა I	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე	✓		ნელი აკობია
2	სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა II	5	15	15	6	89	სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა I		✓	ნელი აკობია
3	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში I	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე	✓		თამარ მახარაძე
4	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში II	5	15	15	3	92	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში I		✓	თამარ მახარაძე
5	სოციალური მუშაობა და სოციალური პოლიტიკა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო შატბერაშვილი
6	სოციალური კვლევის მეთოდები I	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		მარინა ბურძენიძე

7	სოციალური კვლევის მეთოდები II	5	15	15	5	90	სოციალური კვლევის მეთოდები I		✓	მარინა ბურძენიძე
8	სოციალური მუშაობის პრაქტიკა I	5	–	30	4	91	წინაპირობის გარეშე	✓		სალომე ნამიჭეიშვილი
9	სოციალური მუშაობის პრაქტიკა II	5	–	30	4	91	სოციალური მუშაობის პრაქტიკა I		✓	სალომე ნამიჭეიშვილი
10	სოციალური მუშაობის პრაქტიკა III	5	–	30	4	91	სოციალური მუშაობის პრაქტიკა II	✓		სალომე ნამიჭეიშვილი
11	სოციალური ადვოკატობა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო შატბერაშვილი
12	სამაგსტრო ნაშრომი	30						✓	✓	
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები/მოდულები - - 25 კრედიტი (ECTS)**										
1	სოციალური მუშაობა და ბავშვთა კეთილდღეობა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓		სალომე ნამიჭეიშვილი
2	კლინიკური გერონტოლოგია	5	15	15	7	88	წინაპირობის გარეშე	✓		ნათელა ფარცხალაძე
3	საზოგადოებრივ ჯგუფებთან (თემთან) და ორგანიზაციებთან სოციალური მუშაობის პრაქტიკა: მაკრო პრაქტიკა	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე		✓	თამარ მახარაძე
4	სოციალური მუშაობა და სოციალური პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებთან	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		მაგული შაღაშვილი
5	სოციალური მუშაობა ჯანდაცვის სისტემაში	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ზურაბ ტატანაშვილი
6	ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე		✓	თამარ მახარაძე
7	ევროგაერთიანების სოციალური პოლიტიკა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ანა დიაკონიძე

8	კულტურული კომპეტენტურობა და სოციალური მუშაობა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ზურაბ ტატანაშვილი
9	სოციალური სამსახურის სახელმწიფო პოლიტიკა და პრაქტიკა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓		თამარ სანიკიძე
10	საერთაშორისო სოციალური სამუშაო	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო შატბერაშვილი
11	სოციალური მუშაობა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ზურაბ ტატანაშვილი
12	ფსიქიკური აშლილობები და სოციალური მუშაობა 1	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ია შეყრილაძე
13	ფსიქიკური აშლილობები და სოციალური მუშაობა 2	5	15	15	5	90	ფსიქიკური აშლილობები და სოციალური მუშაობა 1		✓	ია შეყრილაძე
14	სოციალური მუშაობა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	5	30	15	6	74	წინაპირობის გარეშე		✓	სალომე ნამიჭეიშვილი ქეთევან ხუციშვილი
15	სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე	✓		სალომე ნამიჭეიშვილი ქეთევან ხუციშვილი
16	კვლევითი პროექტი	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე	✓		თამარ მახარაძე
17	სპეციალური ინგლისური ენა სოციალურ მეცნიერებებში (სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ბოლქვაძე
18	ჯანდაცვის პოლიტიკა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓		თენგიზ ვერულავა
19	სოციალური მედიცინა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✓	თენგიზ ვერულავა

20	სოციალური მუშაობის ხარისხი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✓	თენგიზ ვერულავა
თავისუფალი კურსები/მოდულები - 10 კრედიტი (ECTS)										

***ამოქმედდეს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან**

****ამოქმედდეს 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან**

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი